## ”დინამო” - ”სპარტაკი”

გუშინ  ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე თბილისის გუნდებმა - ”დინამომ” და ”სპარტაკმა” ჩაატარეს მეორე წრის პირველი მატჩი.

ფეხბურთის მოყვარულნი გუნდებისაგან მოელოდნენ გააზრებულ, კომბინაციურ თამაშს, მაგრამ მატჩი უინტერესო გამოდგა. ორივე გუნდმა თავიანთ შესაძლებლობასთან შედარებით სუსტად ითამაშა.

ინიციატივა თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში დინამოელთა მხარეს იყო, მაგრამ თავდამსხმელები კარში იშვიათად და არაზუსტად ურტყამდნენ. ”სპარტაკის” იერიშებს მეტი სიმწვავე ახასიათებდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში სპარტაკელები აგვიანებდნენ და კარგავდნენ გოლის გატანის შესაძლებლობას.

ორივე ბურთი ”დინამომ” მოწინააღმდეგის კარში შესვენებამდე გაიტანა. მე-12-ე წუთზე ზაზროშვილი მოულოდნელად შეიჭრა სპარტაკელთა საჯარიმო მოედანში და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში - 1:0.

35-ე წუთზე ღოღობერიძემ მიიღო სარჯველაძის გადაცემა და მეორე ბურთი გაიტანა.

მატჩის მეორე ნახევარში ”სპარტაკმა” გამოაცოცხლა თამაში და ”დინამოს” კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა, მაგრამ უშედეგოდ. ანგარიში 2:0 უცვლელი დარჩა.

დუბლიორთა შეხვედრა მოიგო ”სპარტაკმა” – 5:1.

**29.06.51**